სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ნომერი №4

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2017

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikvilaZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi ---------- 5-60

gadasaxadebi #4, 2017

GADASAKHADEBI #4, 2017

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს ბერნის 2016 წლის 27 ივნისის შეთანხმება „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე

ქუთაისი,

23 მარტი 2017 წ.

N537-IIს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №135

2017 წლის 21 მარტი, ქ. თბილისი

„სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/11/2015, 300160070.10.003.018953) შეტანილ იქნეს ცვლილება და „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) დასაშვები მაქსიმალური ზღვარის“ დანართის მე-2 ნაწილის:

1. მე-2 ნაწილის:

ა) 2.2.11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

2.2.11	სანელებლები, მათ შორის, მშრალი სანელებლები	
	Piper spp. (ნაყოფი, თეთრი და შავი პილპილი) Myristica fragrans (ჯავზი) Zingiber officinale (კოჭა) Curcuma longa (ყვითელი კოჭა)	15 მგ/კგ
	Capsicum spp. (წიწაკა – მშრალი, მთელი ან დაფქული ნაყოფი, მათ შორის, მწარე წიწაკა ჩილი, ბულგარული წიწაკა)	20 მგ/კგ
	სანელებლების ნარევი, რომელიც შეიცავს ერთ ან მეტ ზემოაღნიშნულ სანელებელს	15 მგ/კგ

“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 2.8.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

	2.8 ციტრინინი	
2.8.1	სურსათის (სასურსათო) დანამატი, ბრინჯის ფუძეზე დამზადებული, რომელიც მიიღება ბრინჯის წითელი საფუარით (*Monascus purpureus*) ფერმენტაციით	2 000

“.

2. მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.9 პუნქტი:

„

2.9	ჭვავის რქის სკლეროცეა და ჭვავის რქის ალკალოიდიები	
2.9.1.	ჭვავის რქის სკლეროცეა	
2.9.1.1.	გადაუმუშავებელი მარცვლოვნები ([18]), გარდა ხიმინდისა და ბრინჯისა	0.5 გ/კგ
2.9.2	ჭვავის რქის ალკალოიდიები	-

“.

3. მე-3 ნაწილის:

ა) 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

3.1	ტყვია	
3.1.1.	ნედლი რძე([6]), თერმულად(თბურად) დამუშავებული რძე და რძე, რომელიც გამოიყენება რძის პროდუქტების დასამზადებლად	0,020
3.1.2.	ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის	
	ფხვნილის სახით ([3])([26])	0,050
	თხევადი სახით ([3])([26])	0,010
3.1.3	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი სურსათი ([3])([26]), გარდა 3.1.5 პუნქტით განსაზღვრული სურსათისა	0,050
3.1.4.	განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათი ([9]) განკუთვნილი ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის	
	ფხვნილის სახით ([26])	0,050
	თხევადი სახით ([26])	0,010
3.1.5.	ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი წვენები, რომლებიც ეტიკეტირებული და რეალიზებული იქნა ასეთად, გარდა 3.1.2 და 3.1.4. პუნქტებით განსაზღვრულისა	
	თხევადი სახით ან ბიზნესოპერატორის ინსტრუქციების შესაბამისად აღსადგენი, მათ შორის, ხილის წვენები([4])	0,030
	ნაყენის ან ნახარშის დასამზადებლად განკუთვნილი ([26])	1.50

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3.1.6.	მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის ხორცი (გარდა სუბპროდუქტებისა)([6])	0,10
3.1.7.	მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სუბპროდუქტები ([6])	0,50
3.1.8.	თევზის ფილე (კუნთოვანი ქსოვილის ხორცი)([22])([23])	0,30
3.1.9.	თავფეხიანები([47])	0,30
3.1.10	კიბოსნაირები ([24])([40])	0,50
3.1.11	ორსადგულიანი მოლუსკები ([24])	1.50
3.1.12	მარცვლოვნები და ბურღულეული	0,20
3.1.13	ბოსტნეული, გარდა კომბოსტოსებრთა გვარის წარმომადგენლებისა, ბაღის ფამფარასი, ფოთლოვანი ბოსტნეულის, ახალი მწვანილის, სოკოსი, ზღვის წყალმცენარეებისა და ნაყოფის მქონე ბოსტნეულისა ([25])([48])	0,10
3.1.14	კომბოსტოსებრთა გვარის წარმომადგენლები, ბაღის ფამფარა,ფოთლოვანი ბოსტნეული, გარდა ახალი მწვანილისა და შემდეგი სოკოებისა: • ქამა სოკო (შამპინიონი) (Agaricus bisporus) • კალმახა სოკო (ხეთამხალი) (Pleurotus osteatus) • სოკო შიტაკი (Lentinula edodes) ([25])	0,30
3.1.15	ნაყოფის მქონე ბოსტნეული	
	ტკბილი სიმინდი ([25])	0,10
	გარდა ტკბილი სიმინდისა ([25])	0,05
3.1.16	ხილი, გარდა მოცხარის, მოცვის, ანწლისა და მარწყვისა ([25])	0,10
3.1.17	მოცხარი, მოცვი, მარწყვი და ანწლი ([25])	0,20
3.1.18	ცხიმები და ზეთები, მათ შორის, რძის ცხიმი	0,10
3.1.19	ხილის წვენები, კონცენტრირებული ხილის წვენები – აღდგენილი და ხილის ნექტარი	
	მხოლოდ კენკრა და სხვა მცირე ზომის ნაყოფის მქონე ხილისგან ([14])	0,05
	სხვა ხილისგან, გარდა კენკრისა და სხვა მცირე ზომის ნაყოფის მქონე ხილისგან ([14])	0,03
3.1.20	ღვინო (მათ შორის, შუშხუნა ღვინო, გარდა ლიქიორული ღვინისა), სიდრი, მსხლის სიდრი და ხილის ღვინო ([11])	
	პროდუქტი, რომელიც წარმოებულია 2001 წლის მოსავლისაგან 2015 წლის მოსავლამდე	0,20
	პროდუქტი, რომელიც წარმოებულია 2016 წლის მოსავლის შემდეგ	0,15
3.1.21	არომატიზებული ღვინო, ღვინის შემცველი არომატიზებული სასმელები და არომატიზებული ღვინის კოქტეილები ([13])	
	პროდუქტი, რომელიც წარმოებულია 2001 წლის მოსავლისაგან 2015 წლის მოსავლამდე	0,20
	პროდუქტი, რომელიც წარმოებულია 2016 წლის ხილის მოსავლის შემდეგ	0,15
3.1.22	სასურსათო დანამატები ([35])	3,0
3.1.23	თაფლი	0,10

“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 3.2.21 და 3.2.22 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

3.2.21	სურსათის (სასურსათო) დანამატები ([35]), გარდა 3.2.22 პუნქტით განსაზღვრული საკვები დანამატებისა	1,0
3.2.22	სურსათის (სასურსათო) დანამატები ([35]), რომელიც შედგება მხოლოდ, ან ძირითადად მშრალი წყალმცენარეებისაგან, ასევე, პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ზღვის მშრალი წყალმცენარეებისა ან მშრალი ორსადგულიანი მოლუსკებისაგან	3,0

“;

გ) 3.3.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

3.2.21	სურსათის (სასურსათო) დანამატები ([35]), გარდა 3.2.22 პუნქტით განსაზღვრული საკვები დანამატებისა	1,0
3.2.22	სურსათის (სასურსათო) დანამატები ([35]), რომელიც შედგება მხოლოდ, ან ძირითადად მშრალი წყალმცენარეებისაგან, ასევე, პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ზღვის მშრალი წყალმცენარეებისა ან მშრალი ორსადგულიანი მოლუსკებისაგან	3,0

“
;

გ) 3.3.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

3.3.3	სურსათის (სასურსათო) დანამატები (35),	0,10

“.

4. მე-3 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.5 პუნქტი:

”

3.5 დარიშხანი (არაორგანული) ([49]) ([50])		
3.5.1	დაფქული ბრინჯი, ორთქლით დამუშავების(მოწალვის) გარეშე (გაპრიალებული ბრინჯი ან თეთრი ბრინჯი)	0,20
3.5.2	ორთქლით დამუშავებული(მოწალული) ბრინჯი და გაუპრიალებელი ბრინჯი	0,25
3.5.3	ბრინჯის ვაფლი, ბრინჯის ფირფიტები, ბრინჯის კრეკერები და ბრინჯის ნამცხვრები	0,30
3.5.4	ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა სურსათის წარმოებისათვის განკუთვნილი ბრინჯი ([3])	0,10

“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. მე-6 ნაწილის 6.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

სურსათის დასახელება		**მაქსიმალური ზღვარი (მკგ/კგ)**	
6.1 ბენზო(a)პირენი , ბენზო(a)ანთრაცინი, ბენზო(a)ფლუორენი, ქრიზენი		**ბენზო(a)პირენი**	**ბენზო(a)პირენის , ბენზო(a)ანთრაცინის, ბენზო(a)ფლუორენის და ქრიზენის საერთო რაოდენობა ჯამი ([41])**
6.1.1	ცხიმები და ზეთები (გარდა კაკაოს ცხიმისა და ქოქოსის ზეთისა), რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის ან სურსათში ინგრედიენტის სახით გამოყენებისათვის	2,0	10,0
6.1.2	კაკაოს მარცვლები და მათგან მიღებული პროდუქტები, გარდა 6.1.11-პუნქტით განსაზღვრული სურსათისა	5,0 მკგ/კგ ცხიმში	30,0 მკგ/კგ ცხიმში
6.1.3	ქოქოსის ზეთი, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ სურსათად მოხმარებისათვის ან სურსათში ინგრედიენტის სახით გამოყენებისათვის	2,0	20,0
6.1.4	ხორცი შებოლილი და შებოლილი ხორცპროდუქტები	2,0	12,0 მკგ/კგ
6.1.5	ფილე შებოლილი თევზისა და შებოლილი თევზპროდუქტები ([23]), ([32]), გარდა პუნქტები: 6.1.6-ითა და 6.1.7 -ით განსაზღვრული თევზის პროდუქტებისა, შებოლილი კიბოსნაირებისათვის მაქსიმალური ზღვარი გამოიყენება სხეულის სხვადასხვა სეგმენტიდან (დანამატებიდან) და მუცლის ღრუდან მიღებულ ხორცთან მიმართებით ([40]), შებოლილი კიბორჩხალისა და კიბორჩხალის მსგავსი კიბოსნაირებისათვის (*Brachyura* და *Anomura),* მაქსიმალური ზღვარი გამოიყენება დანამატებიდან მიღებულ ხორცთან მიმართებით	2,0	12,0 მკგ/კგ
6.1.6	შებოლილი ქარხალა (*Sprattus sprattus)* და შებოლილი ქარხალას კონსერვი ([23]), ([43]), შებოლილი ბალტიური ქაშაყი (*Clupea harengus membras*) , რომლის სიგრძე ≤ 14 სმ-ისა და დაკონსერვებული ბალტიური ქაშაყი, რომლის სიგრძე ≤ 14 სმ-ისა. ([23]), ([43]), გამომშრალი ბონიტო (*Katsuwonus pelamis*), ორსადგულიანი მოლუსკები (ახალი, გაცივებული, გაყინული) ([24]) თერმულად (თბურად) დამუშავებული ხორცი და თერმულად (თბურად) დამუშავებული ხორცის პროდუქტები([42]), რომლებიც უშუალოდ მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს	5,0	30,0

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6.1.7	ორსადგულიანი მოლუსკები, შებოლილი ([32]),	6,0	35,0
6.1.8	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი ([3]), ([26]),	1,0	1,0
6.1.9	ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის, მათ შორის, რძიანი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და რძიანი დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის ([8]), ([26]),	1,0	1,0
6.1.10	განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების დიეტური სურსათი ([9]), ([26]) სპეციალურად ჩვილი ბავშვებისათვის	1,0	1,0
6.1.11	კაკაოს ბოჭკო და მისგან მიღებული პროდუქტები, რომლებიც განკუთვნილია სურსათის ინგრედიანტად გამოსაყენებლად	3,0	15,0
6.1.12	ბანანის ჩიპსები	2,0	20,0
6.1.13	სურსათის (სასურსათო) დანამატები, რომლებიც შეიცავენ მცენარეულ კომპონენტებს და მათი პრეპარატები ([35]), ([51]) ([52]) სურსათის (სასურსათო) დანამატები, რომლებიც შეიცავენ პროპოლისს, ფუტკრის რძეს, სპირულინას და მათი პრეპარატები ([35])	10,0	50,0
6.1.14	მწვანილი მშრალი	10,0	50,0
6.1.15	მშრალი სუნელები, გარდა ილისა და შებოლილი წიწაკისა (Capsicum spp.)	10,0	50,0

“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაწილი 8. მცენარეული ტოქსინი

სურსათის დასახელება ([1])		მაქსიმალური ზღვარი (მ/კგ)	
8.1 ერუკის მჟავა			
8.1.1	მცენარეული ზეთები და ცხიმები	50 ([46])	
8.1.2	სურსათი, რომელსაც დამატებული აქვს მცენარეული ცხიმი ან/და ზეთი, გარდა 8.1.3 პუნქტით განსაზღვრული სურსათისა	50 ([46])	
8.1.3	ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის და დამატებითი ფორმულა ჩვილი ბავშვებისათვის, ([3])	10 ([46])	
სურსათის დასახელება ([1])		**მაქსიმალური ზღვარი (მკგ/კგ)**	
8.2 ტროპანის ბირთვის მჭიანე ალკალოიდები ([33])			
		ატროპინი	**სკოპოლამინი**
8.2.1	მარცვლოვნების ფუძეზე წარმოებული სურსათი და ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი სურსათი, რომლებიც შეიცავენ ფეტვს, სორგოს, წიწიბურასა და მათგან მიღებულ პროდუქტებს ([26])	1,0 მკგ/კგ	1,0 მკგ/კგ

7. მინიშნებები:

ა) ([1]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([1]) ხილი, ბოსტნეული და მარცვლოვანები შეესაბამება „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №623 დადგენილებით განსაზღვრულ სურსათის კატეგორიებს. ეს იმას ნიშნავს, რომ წიწიბურა (Fagopyrum sp.) მიეკუთვნება „მარცვლოვნებს“, ხოლო მისგან მიღებული პროდუქტები – „მარცვლოვნებისგან მიღებულ პროდუქტს (ბურღული)“. კაკლოვანებისათვის მაქსიმალური ზღვარი არ აღნიშნავს ხილისათვის განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს.“;

ბ) ([3]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([3]) მითითებული სურსათი მოიცავს ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილ სურსათს, განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათსა და წონის კონტროლის მიზნით განკუთვნილ განსაკუთრებულ დიეტურ სურსათს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წონის კონტროლის მიზნით განსაკუთრებული დიეტური სურსათი – სურსათი, რომელიც განსაკუთრებული შედგენილობის ან დამზადების პროცესის გამო მკვეთრად განსხვავდება ნორმალური გამოყენებისათვის განკუთვნილი სურსათისგან და შეესაბამება დეკლარირებულ (გაცხადებულ) დიეტური მიზნით გამოყენებას. ბაზარზე განთავსებისას ამგვარი გამოყენების შესახებ მითითებული უნდა იქნეს პროდუქტზე.";

გ) ([7]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([7]) მაქსიმალური ზღვარი დგინდება მშრალი ნივთიერებაზე გადაანგარიშებით. „სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 7 ნოემბრის წლის №497 დადგენილებით.";

დ) ([8]) და ([9]) ამოღებულ იქნეს;

ე) ([10]) და ([11]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([10]) რძისა და რძის პროდუქტებისათვის მაქსიმალური ზღვარი მოცემულია ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის მზა სურსათისათვის (რომელიც განთავსებულია ბაზარზე, ან იმ სურსათისათვის, რომელიც აღდგენილია ბიზნესოპერატორის ინსტრუქციის შესაბამისად), ხოლო რძისა და რძის პროდუქტების გარდა სხვა პროდუქტებისათვის – მაქსიმალური ზღვარი დგინდება მშრალი ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, „სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ნოემბრის №497 დადგენილებით.

([11]) ღვინისა და შუშხუნა ღვინის განმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. (ღვინო – პროდუქტი, რომელიც მიღებულია მხოლოდ ყურძნის ტკბილის ან დურდოს სრული ან ნაწილობრივი ალკოჰოლური დუღილის შედეგად;

შუშხუნა ღვინო – ნახშირბადის დიოქსიდით ხელოვნურად გაჯერებული ღვინო, რომელშიც ჭარბი წნევა 20^{0}C ტემპერატურაზე არ უნდა იყოს 2,5 ბარზე ნაკლები; („ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონი).";

ვ) ([13]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([13]) მაქსიმალური ზღვარი დადგენილი უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად განსაზღვრული გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცულ არომატიზებული ღვინის, არომატიზებულ ღვინოზე დამზადებული სასმელებისა და არომატიზებული ღვინის პროდუქტების - კოქტეილებისათვის. ოხრატოქსინ A-ს მაქსიმალური ზღვარი ამ სასმელებში წარმოადგენს საბოლოო (მზა) პროდუქტში ღვინის და/ან ყურძნის თანაფარდობის ფუნქციას.";

ზ) ([16]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„([16]) ამ კატეგორიაში მითითებული სურსათი მოიცავს ჩვილი და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილ სურსათს, განსაკუთრებული სამედიცინო დანიშნულების სურსათსა და წონის კონტროლის მიზნით განკუთვნილ განსაკუთრებულ დიეტურ სურსათს.“;

თ) ([18]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([18]) მაქსიმალური ზღვარი ვრცელდება პირველადი გადამუშავებისათვის განკუთვნილ, ბაზარზე განთავსებულ გადაუმუშავებელ მარცვლოვნებზე. „პირველადი გადამუშავება“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან თერმულ (თბურ) გადამუშავებას, გარდა მარცვლის შრობისა. გაწმენდა, დახარისხება და შრობა არ წარმოადგენს „პირველად გადამუშავებას“, რამდენადაც ფიზიკური ზემოქმედება უშუალოდ მარცვალზე არ ხდება და მარცვალი დახარისხებისა და გაწმენდა-გასუფთავების შემდეგ რჩება მთელი.

მარცვლის გაწმენდა უნდა განხორციელდეს ჯაგრისებით და ძლიერად.

თუ მარცვალში აღმოჩენილია ჭვავის რქა, გაწმენდამდე იგი ექვემდებარება პირველად გასუფთავებას. თუ გაწმენდა ხორციელდება მტვრის ასპირატორით, დაფქვამდე უნდა მოხდეს მისი დახარისხება შეფერილობის მიხედვით. წარმოებისა და გადამუშავების ინტეგრირებული სისტემები გულისხმობს სისტემებს, რომლებშიც მარცვლოვნების ყველა პარტია ექვემდებარება გასუფთავებას, დახარისხებასა და გადამუშავებას ერთსა და იმავე საწარმოში. წარმოებისა და გადამუშავების ასეთ ინტეგრირებულ სისტემებში მაქსიმალური ზღვარი ვრცელდება გადაუმუშავებელ მარცვლოვნებზე გასუფთავებისა და დახარისხების შემდეგ, პირველად გადამუშავებამდე.

ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ამ კრიტიკული საკონტროლო წერტილის ეფექტური მონიტორინგი HACCP-ის პროცედურებით.“;

ი) ([32]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([32]) მაქსიმალური ზღვარი დადგენილი უნდა იქნეს შემდეგი პროდუქტების მიმართ:

– თევზი გამომშრალი, დამარილებული ან მარილწყალში, შებოლილი, რომელიც დაექვემდებარა ან არ დაექვემდებარა თერმულ დამუშავებას შებოლვამდე ან შებოლვისას, თევზის ფქვილი, მსხვილი და წვრილი დაფქვის სიმსხოთი, გრანულები, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის – (სეს ესნ კოდი 0305);

– კიბოსნაირები, ჯავშნით, ან ჯავშნის გარეშე, ცოცხალი, ახალი, გაყინული, გაცივებული, გამომშრალი, დამარილებული ან მარილწყალში, კიბოსნაირები ჯავშნით, ორთქლში ან წყალში მოხარშული, ან გაუცივებელი, გაუყინავი, არაგამომშრალი, არადამარილებული, არამარილწყალში, კიბოსნაირების ფქვილი, მსხვილი და წვრილი დაფქვის სიმსხოთი, გრანულები, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის – (სეს ესნ კოდი 0306);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

– მოლუსკები, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, ცოცხალი, ახალი, გაცივებული, გაყინული, გამომშრალი, დამარილებული ან მარილწყალში; მოლუსკები შებოლილი, ნიჟარით ან ნიჟარის გარეშე, რომელიც დაექვემდებარა ან არ დაექვემდებარა თერმულ დამუშავებას შებოლვამდე ან შებოლვისას; ფქვილი წმინდად და უხეშად ნაფქვავი და გრანულები მოლუსკებისგან, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის - (სეს ესნ კოდი 0307);

– მზა ან დაკონსერვებული კიბოსებრნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები – (სეს ესნ კოდი 1605).";

კ) ([35]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([35]) მაქსიმალური ზღვარი განსაზღვრული უნდა იქნეს ბაზარზე განთავსებულ სურსათის

(სასურსათო) დანამატებში.";

ლ) ([39]) და ([40]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([39]) მაქსიმალური ზღვარი ფოთლოვანი ბოსტნეულისათვის არ ვრცელდება „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №623 დადგენილების „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და სხვა პროდუქტები, რომელთა მიმართ განსაზღვრულია ნმდ (MRL)" დანართი №1-ით, კოდი 0256000-ით განსაზღვრულ ჯგუფზე.

([40]) დანამატებისა და მუცლის კუნთების ხორცი. ეს განმარტება არ მოიცავს კიბოსნაირების თავსა და მკერდს. კიბორჩხალებისა და კიბორჩხალის მსგავსი კიბოსნაირებისათვის (Brachyura და Anomura) დანამატების კუნთების ხორცი.";

მ) ([45]) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„([45]) მაქსიმალური ზღვარი დადგენილი უნდა იქნეს ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილ კაკაოსა და შოკოლადის კონკრეტული ნაწარმისათვის.";

ნ) ([47]), ([48]), ([49]), ([50]), ([51]), ([52]), ([53]) დაემატოს შემდეგი შინაარსით:

„([47]) მაქსიმალური ზღვარი განსაზღვრულია ცხოველისთვის, რომელიც ბაზარზე განთავსებულია შიგნეულობის (შინაგანი ორგანოების) გარეშე.

([48]) კარტოფილის შემთხვევაში მაქსიმალური ზღვარი ვრცელდება გაფცქვნილ კარტოფილზე.

([49]) სამვალენტიანი (III) და ხუთვალენტიანი (V) დარიშხანის ჯამი.

([50]) ტერმინები – ბრინჯი, გაუპრიალებელი ბრინჯი, დაფქული ბრინჯი და მოწალული ბრინჯი შეესაბამება Codex Standart 198-1995-ით განსაზღვრულ ტერმინებს და აღნიშნავს:

– ბრინჯი – მცენარე Oriza sativa L – მთლიანი ან დამსხვრეული მარცვალი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

– გაუპრიალებელი ბრინჯი – დაუმსხვრეველი ჩენჩომოცილებული ბრინჯი. ქატოს ნაწილი შეიძლება მოცილებულ იქნა ჩენჩოს მოცილების ან სხვა ტიპის დამუშავებისას;

– დაფქული ბრინჯი – (თეთრი ბრინჯი) გაპრიალებული ბრინჯი, რომელსაც დაფქვის პროცესში ქატო და ჩანასახი სრულად აქვს მოცილებული;

– მოწალული (ორთქლით დამუშავებული) ბრინჯი – დაფქული ან გაუპრიალებელი ბრინჯი, რომელიც დამზადებულია გაუპრიალებელი ბრინჯისაგან წყალში დალბობითა და შემდგომში სახამებლის კლეისტერიზაციისათვის თერმული დამუშავებითა და შემდგომი შრობით.

([51]) მცენარეული კომპონენტები და მათი პრეპარატები წარმოადგენენ პრეპარატებს, რომელთა მიღება ხდება მცენარეების კომპონენტებისაგან (მაგ.: მთლიანი მცენარე, მცენარეთა ნაწილები ან დაჭრილი მცენარე) სხვადასხვა მეთოდის (დაწნეხა, გამოწვილვა, ექსტრაქცია, რექტიფიკაცია, დისტილაცია, კონცენტრირება, გამოშრობა, დუღილი) გამოყენებით. ეს განმარტება მოიცავს ასევე დაქუცმაცებული მცენარის, წყალმცენარის, სოკოების, მღიერების ფხვნილებს, ნაყენებს, ექსტრაქტებს, ეთერზეთებს (გარდა მცენარეული ზეთებისა, რომელიც მოცემულია პუნქტი 6.1.1-ში), გამოწურულ წვენსა და დამუშავებულ ექსუდატებს.

([52]) მაქსიმალური ზღვარი არ გამოიყენება სურსათის (სასურსათო) დანამატებისათვის, რომლებიც შეიცავენ მცენარეულ ზეთებს. მცენარეული ზეთი, რომელიც გამოიყენება სურსათის (სასურსათო) დანამატში, როგორც ინგრედიენტი, უნდა შეესაბამებოდეს პუნქტ 6.1.1.-ით განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს.

([53]) ტროპანის ბირთვის შემცველი ალკალოიდებია ატროპინი და სკოპოლამინი. ატროპინი წარმოადგენს (-) და (+) ჰიოსციამინების ნარევს, მათგან მხოლოდ სტერეოიზომერი (-) ჰიოსციმინი ამჟღავნებს ანტიქოლინერგიულ აქტივობას. ანალიზის განხორციელებისას ყოველთვის ვერ ხდება ჰიოსციმინების განსხვავების დადგენა. მაქსიმალური ზღვრები განსაზღვრულია ატროპინისა და სკოპოლამინისთვის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №137

2017 წლის 23 მარტი, ქ. თბილისი

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3^1 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 აგვისტოს №199 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის „დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების“ საფინანსო შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის №2181 განკარგულების გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა (დანართი №1).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

დანართი №1

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება.

მუხლი 2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (www.worknet.gov.ge) განვითარება (დანართი №1.1);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირებების გაწევა მუნიციპალურ დონეზე (დანართი №1.2);

გ) საშუამავლო მომსახურების გაწევა-განვითარება (დანართი №1.3);

დ) პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების გაწევა მუნიციპალურ დონეზე (დანართი №1.4);

ე) მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა (დასაქმების ხელშეწყობის მოდელების პილოტირების – სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გზით) (დანართი №1.5);

ვ) დასაქმების ფორუმების მოწყობა (დანართი №1.6);

ზ) შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით, თვისებრივი კვლევების განხორციელება და მონიტორინგი, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ (დანართი №1.7);

თ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებისა და საზოგადოების დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები) ცნობიერების ამაღლების მიზნით, დასაქმების თემებზე ტრენინგების/სემინარების ორგანიზება (დანართი №1.8);

ი) დასაქმების ხელშეწყობის საკითხებსა და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემაჯამებელი კონფერენციის მოწყობა (დანართი №1.9).

მუხლი 3. პროგრამის დაფინანსების წყარო და მექანიზმები

1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 676 000 (ექვსას სამოცდათექვსმეტი ათასი) ლარით.

2. პროგრამის (მათ შორის, პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები) დაფინანსების წყაროა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამისათვის“ (პროგრამული კოდი: 35 05) გათვალისწინებული ასიგნება.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ან ვაუჩერის მეშვეობით.

მუხლი 4. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

1. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. დამსაქმებლები.

3. სოციალური პარტნიორები.

4. მასმედიის წარმომადგენლები.

მუხლი 5. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში –სააგენტო).

2. სააგენტო ამ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ანგარიშს აწვდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვარტალურად.

დანართი №1.1

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (www.worknet.gov.ge) განვითარება

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიების აღრიცხვისა და მონაცემთა ბაზების განვითარება, შრომის ბაზრის სუბიექტების უზრუნველყოფა მათი საქმიანობის მხარდამჭერი სისტემით. სტატისტიკური ინფორმაციის რეპორტების მექანიზმის დახვეწა-განვითარება.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. www.worknet.gov.ge-ის მოდულების: ვაკანსიებისა და დამსაქმებლებისათვის გამიზნული სერვისების სრულყოფა-განვითარება.

2. www.worknet.gov.ge-ში სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება, მონაცემთა ბაზების ფორმირება და რეპორტინგის დამუშავება.

3. სამუშაოს მაძიებლებისა და ვაკანსიების ავტომატური თავსებადობის პროცედურის შემუშავება და დანერგვა.

მუხლი 3. შესრულების ინდიკატორი

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (www.worknet.gov.ge) მოდულები – სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიების, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების უკუკავშირი და ანალიზი – ფუნქციონირებს გამართულად, იძლევა სტატისტიკურ რეპორტებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1.2

შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირებების გაწევა მუნიციპალურ დონეზე

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებისთვის შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობა, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. სამუშაოს მაძიებლებისთვის შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად სამუშაოს მაძიებელთა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტირებების ორგანიზება სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში, კვარტალში ერთხელ.

2. დაინტერესებულ მხარეებთან (სამთავრობო და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, დამსაქმებლები/ დამსაქმებელთა გაერთიანებები, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები) თანამშრომლობით, ახალგაზრდების (პროფესიული/უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების) და მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ჯგუფური კონსულტირებების ორგანიზება.

3. საინფორმაციო მასალების მომზადება, დაბეჭდვა და გავრცელება.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფები

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი.

მუხლი 4. შესრულების ინდიკატორი

სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში ხორციელდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტირებები. კონსულტირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1.3

საშუამავლო მომსახურების გაწევა-განვითარება

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიებისა და სამუშაოს მაძიებლების დასაქმების მიზნით, დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ოპერატიული და ეფექტური კავშირი და/ან ასეთი კავშირის ხელშეწყობა.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებელთა ცნობიერების ამაღლება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო მომსახურებების შესახებ.

2. საშუამავლო მომსახურების გაწევის ეფექტურად უზრუნველსაყოფად თანამშრომლობის განვითარება, ცალკეულ დამსაქმებლებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებსა და დასაქმების კერძო სააგენტოებთან, მუნიციპალურ დონეზე.

3. დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატების შერჩევა www.worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლებიდან და მათი დამსაქმებლისათვის შეთავაზება.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფები

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ საქართველოს მასშტაბით დამსაქმებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები და შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები.

მუხლი 4. შესრულების ინდიკატორი

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებულ დამსაქმებელთა რაოდენობა, დამსაქმებლისთვის შეთავაზებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1.4

პროფესიული კონსულტაციისა (პროფკონსულტაცია) და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების გაწევა მუნიციპალურ დონეზე

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია პროფკონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარება სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრსა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებში.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მასშტაბით, კონკურსის წესით შერჩეული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის 10 კონსულტანტის მომზადება.

2. პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებების დანერგვისა და გაწევის თაობაზე სამიზნე ჯგუფების ცნობიერების დონის ამაღლებისათვის სხვადასხვა ღონისძიების გატარება.

3. სახელმძღვანელოსა და საინფორმაციო მასალების მომზადება, დაბეჭდვა და გავრცელება.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფები

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები.

მუხლი 4. შესრულების ინდიკატორი

მომსახურების მიწოდება ხორციელდება სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრსა და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებში.

დანართი №1.5

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა (დასაქმების ხელშეწყობის მოდელების პილოტირების – სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გზით)

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ ღონისძიების მიზნებისათვის, გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (შემდგომში – შშმ პირი) – არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი (შემდგომში – სსსმ პირი) – რომელსაც აქვს სიძნელეები სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და/ან სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია და/ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება;

გ) სააგენტო – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო;

დ) ბენეფიციარი – შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული შშმ და სსსმ პირები, რომლებიც გამოხატავენ ამ ღონისძიების ფარგლებში, მათ შორის, ადაპტირებულ სამუშაო ადგილებზე დასაქმების სურვილს;

ე) დამსაქმებელი – კერძო სამართლის სუბიექტები, რომლებიც გამოხატავენ მზაობას, მონაწილეობა მიიღონ სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტში და ხელი შეუწყონ შშმ/სსსმ პირების დასაქმებას;

ვ) შრომის ანაზღაურების სუბსიდირება (შემდგომში - სუბსიდირება) – შშმ და სსსმ სამუშაოს მაძიებელ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დამსაქმებლებთან შეთანხმების მიღწევის გზით, ახალ ან არსებულ თავისუფალ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ბენეფიციართა შრომის ანაზღაურების სუბსიდირება (50%-იანი დაფინანსებით, არაუმეტეს 460 ლარისა), სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებების განვითარებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

ზ) ვაუჩერი – სახელმწიფოს მიერ ბენეფიციარისათვის გადაცემული, დამსაქმებელთან წარსადგენი მიმოქცევადი მატერიალიზებული ფორმის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია ბენეფიციარის შრომის ანაზღაურების ნაწილობრივ დასაფინანსებლად, მათ შორის, ადაპტირებულ სამუშაო ადგილებზე. ვაუჩერი არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს;

თ) მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტი – პირი, რომელიც ახორციელებს შშმ და სსსმ პირთა ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების, დაცვისა და შენარჩუნების მხარდაჭერას;

ი) ადაპტირებული სამუშაო ადგილი – შშმ და სსსმ სამუშაოს მაძიებელ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დამსაქმებლის მოთხოვნისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისად, სათანადო ტექნიკური საშუალებებით (პანდუსები, მაგიდა, ბილიკები, ხელსაბანი, საპირფარეშო და ა.შ.) აღჭურვილი, ბენეფიციარის შესაძლებლობებთან ადაპტირებული კონკრეტული სამუშაო პოზიცია. ღონისძიების

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფარგლებში გათვალისწინებულია იმ დამსაქმებელთა რეესტრის ფორმირება, რომლებიც ფლობენ ან უზრუნველყოფენ ადაპტირებულ სამუშაო ადგილებს.

მუხლი 3. განსახორციელებელი ღონისძიებები

განსახორციელებელი ღონისძიებები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

ა) მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტთა ჯგუფის ფორმირების კომპონენტი;

ბ) სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტი.

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფები

ღონისძიების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ შრომის ბაზრის მართვის სანფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული შშმ/სსსმ პირები, რომლებიც გამოხატავენ მზაობას, ჩაერთონ შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტის ღონისძიებაში.

მუხლი 5. განმახორციელებელი

ღონისძიების განმახორციელებელია სააგენტო.

მუხლი 6. შესრულების ინდიკატორები

შშმ და სსსმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც გაეწიათ სათანადო მომსახურება და დასაქმდნენ შრომის ბაზარზე.

დანართი №1.5.1

მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტთა ჯგუფის ფორმირების კომპონენტი

მუხლი 1. კომპონენტის ამოცანა

კომპონენტის ამოცანაა შშმ და სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისთვის მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტთა ჯგუფის ფორმირება.

მუხლი 2. კომპონენტის ღონისძიებები

1. შერჩეული 11 მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტის მომზადება.

2. მხარდაჭერითი დასაქმების მომსახურების დანერგვისა და გაწევის თაობაზე სამიზნე ჯგუფების ცნობიერების დონის ამაღლებისათვის სხვადასხვა ღონისძიების გატარება.

3. საინფორმაციო მასალების მომზადება, ბეჭდვა და გავრცელება.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კომპონენტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული შშმ/სსსმ პირი.

მუხლი 4. განმახორციელებელი

კომპონენტის განმახორციელებელია სააგენტო.

მუხლი 5. შესრულების ინდიკატორი

შშმ და სსსმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც გაეწიათ სათანადო მომსახურება და დასაქმდნენ შრომის ბაზარზე.

დანართი №1.5.2

სამუშაო ადგილების ადაპტირებისა და შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტი

მუხლი 1. კომპონენტის ამოცანა

კომპონენტის ამოცანაა შშმ და სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დამსაქმებლებთან შეთანხმების მიღწევის გზით, ახალ ან არსებულ, მათ შორის, ადაპტირებულ თავისუფალ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ბენეფიციართა შრომის ანაზღაურების სუბსიდირება.

მუხლი 2. კომპონენტის ღონისძიებები

1. ამ კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისთვის, სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დამსაქმებლების, მათ შორის, ადაპტირებული სამუშაო ადგილ(ებ)ის მქონე სუბიექტების შერჩევა რეგიონების მიხედვით, რომლებიც გამოხატავენ მზაობას ბენეფიციართა დასაქმების თაობაზე და მათ შესახებ შესაბამისი მონაცემთა რეესტრის შექმნა.

2. სააგენტომ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული ვაკანსიის პირობებში შესასრულებელი სამუშაოს ანალიზი, ბენეფიციართა უნარ-ჩვევების ვაკანსიის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

3. საბოლოო გადაწყვეტილებას, ბენეფიციართან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, სააგენტოს შეთავაზების საფუძველზე, იღებს დამსაქმებელი.

4. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დასაქმებული ბენეფიციარის შრომის ანაზღაურების სუბსიდირება, ვაუჩერის საშუალებით, ამ დანართის მე-3 მუხლით დადგენილი პირობებით.

5. სუბსიდირების დასრულების შემდგომ, დამსაქმებელსა და ბენეფიციარს შორის შემდგომი შრომითი ურთიერთობები რეგულირდება დამოუკიდებლად, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი პირობებით.

მუხლი 3. ღონისძიებების განხორციელებისა და დაფინანსების პირობები

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. ერთ ბენეფიციარზე ვაუჩერის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 460 (ოთხას სამოცი) ლარს ერთ თვეში.

2. ბენეფიციარი სააგენტოს წარუდგენს განცხადებას კომპონენტის მოსარგებლედ რეგისტრირების შესახებ, რის შემდეგაც, სააგენტო ამ კომპონენტის ფარგლებში წარდგენილ ვაკანსიებზე შესასრულებელი სამუშაოების ანალიზისა და ბენეფიციარის კვალიფიკაციასთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მათ შორის, ბენეფიციარისთვის აუცილებელი ადაპტირებული სამუშაო ადგილის არსებობისას, შესთავაზებს მას შესაფერის სამუშაო ადგილს.

3. სააგენტო უზრუნველყოფს ბენეფიციართა სუბსიდირებას დამსაქმებლის მიერ წარდგენილ ვაკანსიაზე გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 460 (ოთხას სამოცი) ლარისა.

4. სუბსიდირების ხანგრძლივობა განისაზღვრება არაუმეტეს 4 (ოთხი) კალენდარული თვით, ხოლო ადაპტირებულ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთათვის, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. სუბსიდირება განხორციელდება ვაუჩერით, რომლის ფორმა, მიმოქცევისა და ანგარიშსწორების პირობები მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. დამსაქმებლისა და სამუშაოს მაძიებლების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სააგენტოსაგან გაცემულ ვაუჩერს ბენეფიციარი წარადგენს დამსაქმებელთან ყოველი კალენდარული თვის, არაუგვიანეს 15 რიცხვისა. დამსაქმებელი ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებულ ვაუჩერს აგზავნის სააგენტოში სუბსიდირების დაფინანსებისთვის არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა. ამასთან, ამ ვადების დარღვევით წარდგენილი ვაუჩერი არ ანაზღაურდება.

7. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებზე პასუხისმგებელია დამსაქმებელი.

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფი

კომპონენტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული შშმ/სსსმ პირი.

მუხლი 5. განმახორციელებელი

კომპონენტის განმახორციელებელია სააგენტო.

მუხლი 6. შესრულების ინდიკატორი

შშმ და სსსმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც გაეწიათ სათანადო მომსახურება და დასაქმდნენ შრომის ბაზარზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1.6

დასაქმების ფორუმების მოწყობა

მუხლი 1. მიზანი

დამსაქმებლებს, პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. ფორუმის ჩატარების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

2. ფორუმის ჩატარების დროის, ხანგრძლივობისა და ადგილის განსაზღვრა.

3. ფორუმის ჩატარებისთვის სივრცის (ფართის) მოძიება და საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

4. ფორუმის მონაწილე სუბიექტების განსაზღვრა და თანამშრომლობის განვითარება.

5. ფორუმში მონაწილე სამუშაოს მაძიებლების რეგისტრაცია.

6. შედეგების მონიტორინგი არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში, შედეგების სტატისტიკური დამუშავება და ინფორმაციის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის წარდგენა.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ დამსაქმებლები და შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (www.worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი.

მუხლი 4. განმახორციელებელი

ღონისძიების განმახორციელებელია სააგენტო.

მუხლი 5. შესრულების ინდიკატორი

ჩატარებულია მინიმუმ ერთი ფორუმი. ფორუმში მონაწილე სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა რაოდენობა, ფორუმის შედეგად დასაქმებულთა რაოდენობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1.7

შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით, თვისებრივი კვლევების განხორციელება და მონიტორინგი, მინიმუმ წელიწადში ერთხელ

მუხლი 1. მიზანი

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თვისებრივი კვლევების განხორციელების გზით, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენა.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების, საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით, თვისებრივი კვლევის ორგანიზება, მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

2. კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა-განვითარება.

მუხლი 3. განმახორციელებელი

ღონისძიების განმახორციელებელია სააგენტო.

მუხლი 4. შესრულების ინდიკატორი

ჩატარებულია კვლევა და წარმოდგენილია კვლევის შედეგები.

დანართი №1.8

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებისა და საზოგადოების დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები) ცნობიერების ამაღლების მიზნით, დასაქმების თემებზე ტრენინგების/სემინარების ორგანიზება

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია მედიისა და საზოგადოების დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები) ცნობიერების გაზრდა დასაქმების სახელმწიფო სამსახურისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებების შესახებ.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. ტრენინგების/სემინარების ჩატარების დროის, ხანგრძლივობისა და ადგილის განსაზღვრა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/ საერთაშორისო ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები, დასაქმების კერძო სააგენტოები) ინფორმირება, ქვეყნის მასშტაბით, რეგიონების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიების თაობაზე.

3. წინასწარ განსაზღვრულ ჯგუფებთან ტრენინგების/სემინარების ჩატარება.

მუხლი 3. შესრულების ინდიკატორი

ტრენინგების საფუძველზე გადამზადებული ჟურნალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირების რაოდენობა.

მუხლი 4. განმახორციელებელი

ღონისძიების განმახორციელებელია სააგენტო.

დანართი №1.9

დასაქმების ხელშეწყობის საკითხებსა და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემაჯამებელი კონფერენციის მოწყობა

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებაში დაინტერესებულ სუბიექტთა მაქსიმალური ჩართულობისა და სოციალური დიალოგის განვითარება და დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. კონფერენციების დროის, ხანგრძლივობისა და ადგილის განსაზღვრა.

2. დაინტერესებული მხარეებისთვის (სამთავრობო და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები, დამსაქმებლები/ დამსაქმებელთა გაერთიანებები, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, დასაქმების კერძო სააგენტოები და სოციალური პარტნიორები) ჩასატარებელ კონფერენციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება.

3. კონფერენციის ორგანიზება.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ სოციალური პარტნიორები, პარტნიორი სახელმწიფო უწყებები და საზოგადოების სხვა დაინტერესებული პირები.

მუხლი 4. განმახორციელებელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პროგრამის განმახორციელებელია სააგენტო.

მუხლი 5. შესრულების ინდიკატორი

ჩატარებულია კონფერენცია დასაქმების ხელშეწყობის საკითხებსა და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №140

2017 წლის 23 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №626 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №626 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 30/12/2016, 430020000.10.003.019693) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულიპროგრამის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. პროგრამის ადმინისტრირება

პროგრამას ადმინისტრირებას უწევს სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომელიც აფორმებს ხელშეკრულებას იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელშიც საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების მიერ სამინისტროსთვის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე სწავლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №141

2017 წლის 23 მარტი, ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების №2[1] დანართით (სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები) განსაზღვრული ცხრილის – „დამატებითი სანებართვო პირობები“:

1. VIII **ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„

VIII	**გინეკოლოგიური პროფილის მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა ჰქონდეს**:	
1	საოპერაციო ბლოკი დაგეგმილი განათებით	აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს დამოუკიდებელი ქირურგიული ბლოკის არსებობა. შესაძლებელია ქირურგიული პროფილის მომსახურებისათვის გათვალისწინებული საოპერაციო ბლოკის გამოყენება. **შენიშვნა:** სტაციონარულ დაწესებულებაში საოპერაციოების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისების სიმძლავრეს იმდაგვარად, რომ იძლეოდეს პაციენტისათვის უსაფრთხო და დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას.
2	საოპერაციო დარბაზის ჰაერში მიკროორგანიზმებისა და ვირუსების არანაკლებ 95%-ის ინაქტივაციის უზრუნველყოფა	
3	პოსტოპერაციული პალატა	აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს დამოუკიდებელი პოსტოპერაციული პალატის არსებობა. შესაძლებელია ქირურგიული პროფილის მომსახურებისათვის გათვალისწინებული პოსტოპერაციული პალატის გამოყენება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4	მოწყობილობა ანესთეზიისათვის	აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს ქირურგიული პროფილის მომსახურებისათვის გათვალისწინებული საოპერაციო ბლოკის გამოყენებისას.
5	„რეანიმაციული“ სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ ნებართვის მაძიებლის/მფლობელის მიერ ან/და ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან იმავე ფაქტობრივ მისამართზე, ხელშეკრულების საფუძველზე ისე, რომ იძლეოდეს სამედიცინო საქმიანობის დროული და ოპერატიული განხორციელების დასაბუთებას. **შენიშვნა:** გამონაკლისს წარმოადგენს მაღალმთიანი/საზღვრისპირა რაიონები (მუნიციპალიტეტები), სადაც აღნიშნული სერვისის განხორციელება ნებადართულია ინტენსიური თერაპიის პალატის ფარგლებში მართვითი სუნთქვისათვის საჭირო აღჭურვილობისა (მ.შ., აირების უსაფრთხო მიწოდების) და შესაბამისი სპეციალისტით უზრუნველყოფის შემთხვევაში.

“.

2. XIII ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

XIII	ოტორინოლარინგოლოგიური მომსახურების შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა ჰქონდეს	
1	საოპერაციო	აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს დამოუკიდებელი ქირურგიული ბლოკის არსებობა. შესაძლებელია ქირურგიული პროფილის მომსახურებისათვის გათვალისწინებული საოპერაციო ბლოკის გამოყენება. **შენიშვნა:** სტაციონარულ დაწესებულებაში საოპერაციოების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისების სიმძლავრეს იმდაგვარად, რომ იძლეოდეს პაციენტისათვის უსაფრთხო და დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების შესაძლებლობას.
2	მოწყობილობა ანესთეზიისათვის	აუცილებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს ქირურგიული პროფილის მომსახურებისათვის გათვალისწინებული საოპერაციო ბლოკის გამოყენებისას.

“.

3. XVI ნაწილის (სამეანო -ნეონატალური მომსახურების შემთხვევაში, სტაციონარს დამატებით უნდა

ჰქონდეს):

ა) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

”

9	ახალშობილთა სპეციალური მოვლის სერვისი (პალატა/განყოფილება), რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ დამატებით მოთხოვნებს:	ა) მხოლოდ სპეციალიზებული მოვლის (II) დონის სერვისის მიმწოდებელი სუბიექტებისათვის; ბ) შესაძლებელია ნეონატალური პალატისა და ახალშობილთა სპეციალური მოვლის სერვისის ინტეგრირება, შესაბამისი (ამ ნაწილის მე-3 პუნქტით განსაზღვრული) მოთხოვნების დაცვით; გ) არ მოეთხოვებათ „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებით განსაზღვრულ იმ დაწესებულებებს, რომლებიც ერთდროულად აწარმოებენ II დონის სამეანო მოვლისა და III დონის ნეონატალური მოვლის სერვისებს.

“;

ბ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

11	ახალშობილთა ინტენსიური მოვლის სერვისი (NICU)	მოეთხოვებათ სუბსპეციალიზებული მოვლის (III) დონის სერვისის მიმწოდებელ სუბიექტებს, ასევე „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებით განსაზღვრულ იმ დაწესებულებებს, რომლებიც ერთდროულად აწარმოებენ II დონის სამეანო მოვლისა და III დონის ნეონატალური მოვლის სერვისებს.

“.

4. XVII ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

”

XVII	ახალშობილთა ინტენსიური მოვლის სერვისის (NICU) შემთხვევაში, სტაციონარს დამატებით უნდა ჰქონდეს:	ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ აღნიშნული სერვისის მიწოდება, გარდა „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებით განსაზღვრული გამონაკლისებისა, შესაძლებელია: ა) პერინატალურ ცენტრში, რომელიც წარმოადგენს მრავალპროფილიანი სტაციონარის (ქვეტიპი „AC“) ან რეფერალური მრავალპროფილიანი სტაციონარის (ქვეტიპი „AD“) („სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის №01-9/ნ ბრძანება) ნაწილს. ამასთან, აღნიშნული სტაციონარის საწოლფონდი უნდა იყოს 150 ან მეტი. ამ საწოლფონდის 1/5-ს ან მეტს უნდა შეადგენდეს სამეანო საწოლები. ცენტრი უზრუნველყოფს ორსულობისა და მშობიარობის მძიმე გართულებების ინტერდისციპლინური მართვისათვის მაღალსპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. პერინატალური ცენტრი ახორციელებს სამეანო და ნეონატალურ მოვლას როგორც ფიზიოლოგიური, ისე რისკის მქონე ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში, ასევე რეფერირებული პაციენტების მართვას. აღნიშნული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ ახალშობილთა ინტენსიური მართვის (NICU) ერთეული (განყოფილება, დეპარტამენტი და ა.შ.), ინტენსიური მოვლისა და კრიტიკული მდგომარეობების მართვის ერთეული (განყოფილება, დეპარტამენტი და ა.შ.) დედებისათვის და მძლავრი ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური შესაძლებლობები, ასევე თერაპიული და ქირურგიული პროფილის სპეციალისტებზე ხელმისაწვდომობა; ბ) პედიატრიულ მრავალპროფილიან სტაციონარებსა (ქვეტიპი „AC1“) და პედიატრიულ რეფერალურ მრავალპროფილიან სტაციონარებში (ქვეტიპი „AD1“) („სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზ-ღვრის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის №01-9/ნ ბრძანება), რომლებსაც აქვთ ახალშობილთა ინტენსიური მართვის (NICU) ერთეული (განყოფილება, დეპარტამენტი და ა.შ.) და ახორციელებენ ინტენსიური/კრიტიკული ნეონატალური სერვისის მიწოდებას, მათ შორის, რეფერირებული პაციენტების შემთხვევაში. ამ დონეზე უნდა განხორციელდეს ყველა იმ ახალშობილის სამედიცინო მომსახურება, რომელსაც ესაჭიროება ინტენსიური/კრიტიკული მოვლა ან აქვს ძალზე მცირე მასა (<1500 გ) და/ან დაბალი გესტაციური ასაკი (<34 კვირა);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №142

2017 წლის 23 მარტი, ქ. თბილისი

„აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს №418 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აბონენტების მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს №418 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/08/2016, 010110020.10.003.019483) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. **პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 1. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს:

ა) ფიზიკური პირების „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ აბონენტებად განსაზღვრა შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტ(ებ)ის მიერ მიწოდებული, საკუთარი აბონენტების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლების) პირადი ნომრების, გვარებისა და აბონენტის ნომრების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ყოველი თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით არსებულ მონაცემებთან – პირად ნომრებსა და გვარებთან შედარების საფუძველზე;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) 2017 წლის 1 იანვრიდან ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული ყველა აბონენტის (მიუხედავად ერთი ფიზიკური პირის აბონენტად რეგისტრაციის რაოდენობისა) მიერ ყოველთვიურად (30 კალენდარული დღე) მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების 50%-ის ოდენობით ანაზღაურება, შესაბამისი პერიოდის ფაქტობრივი მოხმარების ოდენობიდან გამომდინარე, ნორმატიული აქტით მისადაგებული სამომხმარებლო ტარიფით გაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ერთ აბონენტზე თვეში 100 კვტ. სთ ელექტროენერგიის საფასურისა. ანაზღაურება განხორციელდეს შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტის მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე.“.

2. მე-4 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„**მუხლი** 4. ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ეთხოვოს/ეთხოვოთ შესაბამისი ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტ(ებ)ს „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების (საყოფაცხოვრებო მომხმარებლების) შესახებ ინფორმაციის (პირადი ნომრები, გვარები და აბონენტის ნომრები) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის წარდგენა.“.

3. მე-4 **მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 4^1 **მუხლი**:

„**მუხლი** 4^1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ანგარიშის (ასანაზღაურებელი თანხა) და მე-4 მუხლით წარდგენილი მონაცემების სისწორის შემოწმება და/ან რაიმე სახის კორექტირება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №152

2017 წლის 24 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2014, 300160070.10.003.017666) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტში:

1. **მე-3 მუხლის 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„29. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის ორგანოების შესაბამის თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის (შევსების) ან ელექტრონულ სისტემაში ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მონაცემების ასახვის ან/და მატერიალური სახით ატვირთვის უფლებამოსილება, ამ რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის, დადგენილი წესით, შესაძლებელია, დაეკისროთ დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ შეცდომა დაშვებულია ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის მე-3, მე-4 (მე-4 რეკვიზიტის მე-4 გრაფის (მორის მოცულობა) გარდა) ან მე-9 გრაფებში.“.

2. **მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) ხე-მცენარეების მოჭრის ან მოპოვების ადგილი (მისამართი, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით) და მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი;“.

3. **მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს**.

4. **მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ვ) საიდენტიფიკაციო მონაცემები ხელმძღვანელის ან/და მისი უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ, რომელიც ახორციელებს დადგენილი წესით საკონტროლო ფირნიშების დეპარტამენტში წარდგენას.“.

5. **მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, განახორციელოს მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის მიღების, გადამუშავების, გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის აღრიცხვის, მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ან/და პირველადი გადამუშავების პროდუქტის, ასევე გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახერხი საამქროდან გატანის პროცესების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც განთავსებულია ვებპორტალზე – https://emoe.gov.ge.“.

6. მე-17 **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** 7^1 – 7^7 **პუნქტები**:

„7^1. სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავებისას სავალდებულოა გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტიპისა და მოცულობის შესახებ მონაცემების ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირება გადამუშავების დაწყების დღის 24:00 საათამდე, ხოლო პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახით ფანერის (შპონის) მიღების შემთხვევაში – მისი მიღების დღის 24:00 საათამდე. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტით გათვალისწინებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება მისი გადამუშავების დაწყების დღის 24:00 საათამდე, ხოლო პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახით ფანერის (შპონის) მიღების შემთხვევაში – მისი მიღების დღის 24:00 საათამდე – მონაცემების ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირება სავალდებულოა მათი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანამდე.

7^2. პირველადი გადამუშავების პროდუქტის ზომის ერთეულად გამოიყენება – „$მ^3$“, ხოლო ფანერის (შპონის) აღრიცხვისას ზომის ერთეულად ასევე უნდა მიეთითოს – „$მ^2$“.

7^3. პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანამდე სავალდებულოა, ელექტრონულ ჟურნალში განხორციელდეს პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაცია, რომლის შედეგად გენერირდება ელექტრონული „ცნობა მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ“ (შემდგომში – ელექტრონული ცნობა) (დანართი №14). ამასთან, ცნობის რეკვიზიტებში გამოვლენილი შეცდომის, ასევე პროდუქტის გატანის გაუქმების ან/და გადავადების შემთხვევაში, ელექტრონული ჟურნალის მწარმოებელი პირი უფლებამოსილია, გააუქმოს ელექტრონული ცნობა მისი გენერირებიდან 15 წუთის განმავლობაში.

7^4. ელექტრონული ცნობის რეკვიზიტებში ასახული მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახერხი საამქროს მფლობელს, გარდა „დანიშნულების ადგილში“ მისათითებელი ინფორმაციისა, რომლის შევსებაც ხორციელდება ხე-ტყის მფლობელის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

7^5. დაუშვებელია პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანა ელექტრონულ სისტემაში პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაციისა და ელექტრონული ცნობის გენერირების გარეშე.

7^6. მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაციის (ელექტრონული ცნობის გენერაციის) დასრულებისთანავე, აღნიშნული პირველადი გადამუშავების პროდუქტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან.

7^7. სავალდებულოა გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახერხი საამქროს ტერიტორიიდან გატანის ან სახერხი საამქროს ტერიტორიაზე მისი გამოყენებისას ელექტრონულ ჟურნალში რეგისტრაცია. გატანილი/გამოყენებული ნარჩენის მოცულობის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აღრიცხვისას გამოვლენილი უზუსტობის შემთხვევაში, სახერხი საამქროს მფლობელს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.“.

7. **მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი**:

„12. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი ზომების განხორციელების შემდეგ პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის რეგისტრაცია და ელექტრონული ცნობის გენერირება ხორციელდება დეპარტამენტის მიერ შესაბამისი წერილობითი ან ელექტრონული შეტყობინების წარდგენის საფუძველზე.“.

8. **მე-18 მუხლის**:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ელექტრონულ ჟურნალს სახერხი საამქროს მფლობელი აწარმოებს პირადად ან უფლებამოსილი პირის (პირების) მეშვეობით.“;

ბ) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სახერხი საამქროდან ხე-ტყის (მორის), ასევე მისი გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტისა და წარმოქმნილი ნარჩენის გატანა.“.

9. **მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 19. სახერხი საამქროს ყოველთვიური ანგარიშგების მოთხოვნები

1. სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, ყოველთვიური ანგარიშგების მიზნით, ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვის ჩათვლით, დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს სახერხი საამქროს ადგილმდებარეობის მიხედვით წარუდგინოს ყოველი თვის პირველი რიცხვიდან მომდევნო თვის პირველ რიცხვამდე საანგარიშო პერიოდში გადამუშავებული ხე-ტყის (მორის) საკონტროლო ფირნიშები. სახერხი საამქროს მფლობელი უფლებამოსილია, ასევე განახორციელოს მიმდინარე თვეში გადამუშავებული მორების შესაბამისი ფირნიშების წარმოდგენა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკონტროლო ფირნიშები დეპარტამენტს ან მის ტერიტორიულ ორგანოს ჰბარდება მიღება-ჩაბარების აქტით და ჩამოიწერება ელექტრონულ სისტემაში. ჩამოწერილი საკონტროლო ფირნიშები ინახება 1 წლის ვადით და შემდგომში დეპარტამენტი უზრუნველყოფს მათ განადგურებას კანონმდებლობით დადგენილი წესით (დაწვის გზით).“.

10. **21-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები**:

„ვ) 2017 წლის 10 აპრილამდე ელექტრონულ ჟურნალში (შესაბამის მოდულში) ასახოს სახერხ საამქროში არსებული მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის მოცულობა ხე-ტყის სახეობისა და პროდუქტის ტიპის მიხედვით, რომელიც ამ პერიოდისთვის არ არის გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიიდან შესაბამისი ხე-ტყით მოსარგებლის მიერ. მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის ასახვა უნდა განხორციელდეს ელექტრონულ ჟურნალში რეგისტრირებული ხე-ტყის მიღების შესაბამისი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უნიკალური ნომრისა და ტყითმოსარგებლის მიხედვით. 2017 წლის 10 აპრილიდან აღნიშნული პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანა განახორციელოს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით;

ზ) 2017 წლის 10 აპრილამდე ელექტრონულ ჟურნალში ასახოს ხე-ტყის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების საერთო ოდენობა, რომელიც ამ პერიოდისთვის არ არის გატანილი სახერხი საამქროს ტერიტორიდან ან/და არ არის გამოყენებული სახერხი საამქროს ტერიტორიაზე. 2017 წლის 10 აპრილიდან აღნიშნული ნარჩენების სახერხი საამქროდან გატანა ან/და სახერხი საამქროს ტერიტორიაზე გამოყენება განახორციელოს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.“.

11. **დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №**14:

„დანართი №14

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა

ცნობის სტატუსი -

ცნობა მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტის სახერხი საამქროდან გატანის შესახებ

ცნობის ნომერი	**0000000-0000-00-0000**
ცნობის თარიღი და დრო	
სახერხი საამქრო	
საიდენტიფიკაციო ნომერი	
რეგისტრაციის ნომერი	
რეგიონი	
მუნიციპალიტეტი	
მისამართი	

ინფორმაცია ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის გატანის შესახებ

ხე-ტყით მოსარგებლის დასახელება		
მძღოლის/გამტანი პირის დასახელება		
ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი		
რეგიონი		
მუნიციპალიტეტი		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ქალაქი/სოფელი	
დანიშნულების ადგილი	
მიზნობრიობა	

ინფორმაცია ხე-ტყის პირველადი გადამუშავების პროდუქტის შესახებ

პროდუქტი	**ჯიში**	**მოცულობა**	**მიზნობრიობა**

ელექტრონული ფოსტა ტელეფონი“.	

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-10 პუნქტისა, ამოქმედდეს 2017 წლის 10 აპრილიდან.

2. დადგენილების პირველი მუხლის მე-10 პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის პირველი აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №167

2017 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების ოდენობების და მათი გადახდის წესის და სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიების ოდენობებისა და მათი გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №438 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხების ოდენობების და მათი გადახდის წესის და სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტიების ოდენობებისა და მათი გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №438 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/09/2016, 040170310.10.003.019503) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, სატენდერო კომისია აცნობებს შედეგებს ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტს და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გადაწყვეტილების გაცნობიდან 60 დღის ვადაში ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №171

2017 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 297-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეიქმნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომში –საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს ფინანსთა მინისტრი	საბჭოს თავმჯდომარე
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის უფროსი	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	საბჭოს წევრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების სამმართველოს უფროსი	საბჭოს წევრი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
სსიპ – კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
ა(ა)იპ – საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი
ა(ა)იპ – საქართველოს ბიზნესასოციაციაციის წარმომადგენელი	საბჭოს წევრი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №611 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №174

2017 წლის 31 მარტი, ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ, III ნაწილი, 2009 წელი, მუხლი 430) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. 37-ე **მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (შემდგომში – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება):

ა.ა) II, III და IV კლასების შენობა-ნაგებობებისთვის –არაუმეტეს 10 დღისა;

ა.ბ) ბახმაროს, ბაკურიანისა და ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიებისათვის (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) – არაუმეტეს 15 დღისა;

ა.გ) ყველა კლასის იმ შენობა-ნაგებობებისათვის (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა), რომელთა საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას – არაუმეტეს 15 დღისა;

ა.დ) V კლასის შენობა-ნაგებობებისათვის – არაუმეტეს 30 დღისა;“.

2. 97-ე **მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„2. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო შენობა-ნაგებობის საბოლოო ინსპექტირებას/შემოწმებას და ექსპლუატაციაში მიღებას ახორციელებს ერთი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რომლის დროსაც დამკვეთი ვალდებულია, უზრუნველყოს სახელმწიფო ზედამხედველის შეუფერხებელი და უპირობო შესვლა. ადმინისტრაციული წარმოება იწყება ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნის შესახებ უფლებამოსილი პირის განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან. ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მშენებლობის ზედამხედველობის ორგანო:

ა) ამოწმებს განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობას და ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ახორციელებს საბოლოო ინსპექტირებას/შემოწმებას;

გ) ახორციელებს შენობა-ნაგებობის დათვალიერებას ან/და, საჭიროების შემთხვევაში, აზომვას მისი მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

დ) შენობა-ნაგებობაზე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამის რეაგირებას;

ე) გამოსცემს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე ან უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.“.

3. **97-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი**:

„2^1. საბოლოო ინსპექტირების განხორციელების პროცესში დაფიქსირებული დარღვევების დადგენილი წესით აღმოფხვრის შემდგომ, დამკვეთის მიერ ხელახალი მიმართვის შემთხვევაში, შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, განმეორებით ჩაატაროს შენობა-ნაგებობის ინსპექტირება/შემოწმება.“.

4. **97-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. გადაწყვეტილება ამ დადგენილებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ მიიღება:

ა) განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში:

ა.ა) III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის (გარდა ამ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობებისა);

ა.ბ) ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული II და III კლასების შენობა-ნაგებობებისათვის;

ბ) განცხადების წარდგენიდან 10 დღის ვადაში, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული IV კლასის შენობა-ნაგებობებისათვის;

გ) განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვადაში:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ა) II კლასის შენობა-ნაგებობებისთვის (გარდა ამ პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა);

გ.ბ) III კლასის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობებისა და აგრეთვე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის 1500 $მ^2$-ზე მეტი საანგარიშო ფართობით და მიწის ზედაპირიდან 14 მეტრზე მეტი სიმაღლის შენობა-ნაგებობებისათვის;

დ) განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში:

დ.ა) IV და V კლასების შენობა-ნაგებობებისათვის;

დ.ბ) შენობა-ნაგებობის ნაწილ(ებ)ისათვის.“.

5. 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდებში არ იქნება გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ შენობა-ნაგებობა ჩაითვლება ექსპლუატაციაში მიღებულად და ნებართვის მფლობელის მოთხოვნისთანავე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №89/№146

2017 წლის 22 მარტი, ქ. თბილისი

„კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-№1188 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-№1188 ერთობლივი ბრძანებით (სსმ, №172, 31.12.2010 წ., სარეგისტრაციო კოდი – 230150070.22.033.016107) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-10 მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3^1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილ, უცხოეთში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მის მისაბმელზე ან ნახევრად მისაბმელზე, ავტობუსზე ან მოტოციკლეტზე (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ^3-ზე მეტია) დეკლარაცია წარედგინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან 90 კალენდარულ დღეში.“.

2. **21-ე მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3^1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილ, უცხოეთში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მის მისაბმელზე ან ნახევრად მისაბმელზე, ავტობუსზე ან მოტოციკლეტზე (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ^3 -ზე მეტია) დეკლარაცია წარედგინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან 90 კალენდარულ დღეში.“.

3. **28-ე მუხლის 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„3[1]. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილ, უცხოეთში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მის მისაბმელზე ან ნახევრად მისაბმელზე, ავტობუსზე ან მოტოციკლეტზე (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ^3 -ზე მეტია) დეკლარაცია წარედგინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან 90 კალენდარულ დღეში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ბესიკ ამირანაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №90

2017 წლის 22 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. **პირველი მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტები ამოღებულ იქნეს.**

2. **მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„8. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილი, უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების, მისი მისაბმელის ან ნახევრად მისაბმელის, ავტობუსის ან მოტოციკლეტის (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ^3 -ზე მეტია) გაფორმების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე ვადა შეადგენს 90 კალენდარულ დღეს.“.

3. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) თავისი სვლით გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და ამ სატრანსპორტო საშუალებით ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებული კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონლისა, აგრეთვე საქონლის გარეშე გადაადგილებული მისაბმელის ან ნახევრად მისაბმელისა, რომელთა აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით;“.

4. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე (გარდა საბაჟო გამშვები პუნქტებისა: „სამთაწყარო“, „ახკერპი“ და „მტკვარი“) გადაადგილებული 10 000 ლარამდე ღირებულების საქონელი, რომელიც გაცხადებულია იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში;“.

5. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილ, უცხოეთში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მის მისაბმელზე ან ნახევრად მისაბმელზე, ავტობუსზე ან მოტოციკლეტზე (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ^3 -ზე მეტია) საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან 90 კალენდარულ დღეში.“.

6. 56-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. როდესაც ექსპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიების შერჩევა, დეკლარანტის სურვილისამებრ, ხორციელდება გაფორმების საგადასახადო ორგანოში, დეკლარანტი ვალდებულია, დეკლარაციის წარდგენამდე თვითონ განახორციელოს საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების ან სარკინიგზო ვაგონის/კონტეინერის ნიშანდება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით და შესაბამისი მონაცემები ასახოს დეკლარაციაში, ხოლო მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე – შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge) გადასახადის გადამხდელის პირადი გვერდის მეშვეობით.“.

7. 66-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საბაჟო საწყობი/დეკლარანტის წარმომადგენელი ვალდებულია მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge) გადასახადის გადამხდელის პირადი გვერდის მეშვეობით ასახოს ინფორმაცია განხორციელებული ნიშანდების თაობაზე.“.

8. 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოეთში რეგისტრირებული სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება, მისი მისაბმელი ან ნახევრად მისაბმელი, ავტობუსი ან მოტოციკლეტი (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ^3 -ზე მეტია) – 90 კალენდარული დღის ვადაში ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას;“.

9. 73-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. როდესაც საქონლის რეექსპორტი ხორციელდება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წარდგენით (გარდა გაფორმების ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა), დეკლარანტი ვალდებულია, დეკლარაციის წარდგენამდე თვითონ განახორციელოს საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების ან სარკინიგზო ვაგონის/კონტეინერის ნიშანდება საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით და შესაბამისი მონაცემები ასახოს დეკლარაციაში, ხოლო მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე – შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge) გადასახადის გადამხდელის პირადი გვერდის მეშვეობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №97

2017 წლის 28 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) და ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის:

1. **პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ე) საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მიზნებისათვის, საერთაშორისო ფორუმისათვის (ასამბლეა, სესია, სიმპოზიუმი, კონფერენცია და ა.შ.) და სპორტული შეჯიბრებისათვის შემოტანილი საქონელი (თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს ეს საქონელი რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში):“.

2. **„ე.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ე.ზ) სპორტული მანქანები, მოტოციკლები და მათი სათადარიგო ნაწილები; სპორტული საცურაო საშუალებები (ძრავიანი, იალქნიანი, ნიჩბიანი) და მათი სათადარიგო ნაწილები; სპორტული საფრენი საშუალებები (ძრავიანი და ძრავის გარეშე) და მათი სათადარიგო ნაწილები; სასტენდო და სხვა სპორტული იარაღი; სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის განკუთვნილი ინვენტარი და მოწყობილობა (მაგ.: ბურთები, ჩოგანი, მშვილდ-ისარი, თხილამურები, ციგურები, ციგები, სასრიალო დაფა და ა.შ.), სპორტული ფორმა და სპორტსმენის სპეციალური აღჭურვილობა;“;

3. **„ე.მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ნ“ და „ე.ო“ ქვეპუნქტები**:

„ე.ნ) მუსიკალური ინსტრუმენტები, საკონცერტო და სასცენო დეკორაციები, განათებისა და სხვა მოწყობილობები;

ე.ო) საორგანიზაციო და სადემონსტრაციო მასალა და მოწყობილობები (მაგ:. კომპიუტერული ტექნიკა, დაფები და სხვა ანალოგიური საქონელი).“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №99

2017 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთამინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

759	4399	ა(ა)იპ – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი
762	4402	ა(ა)იპ – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი
767	4407	ა(ა)იპ – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა
768	4408	ა(ა)იპ – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი
1064	4704	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მონიტორინგი
1065	4705	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარების,განვითარებისა და ანალიტიკის ცენტრი
1066	4706	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული წყალმომარაგების სისტემის ზედამხედველობის კონტროლი
1068	4708	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ცენტრი თაკვერი
1069	4709	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი
1072	4712	ა(ა)იპ – ცაგერის ტურიზმის ცენტრი
1074	4714	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი
1075	4715	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის ცენტრი
1122	4762	ა(ა)იპ – სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი

ბ) ბიუჯეტის განმკარგველი 4768- ა(ა)იპ – სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1128	4768	ა(ა)იპ – „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“

გ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

1308	4948	აარ – ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა
1309	4949	აარ – ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება ხაშურის სამუსიკო სკოლა
1310	4950	აარ – სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება სურამის სამუსიკო სკოლა

დ) ბიუჯეტის განმკარგველის - 1365 – „ა(ა)იპ გურჯაანის სპორტული გაერთიანება“ - შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1366	5006	ა(ა)იპ – „ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“
1367	5007	ა(ა)იპ – „ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გაერთიანება“
1368	5008	ა(ა)იპ –„ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანება“
1369	5009	ხობის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ – „საქველმოქმედო ასოციაცია სათნოების სახლი“
1370	5010	ააიპ – „ქალაქ ახალციხის მერიის მდგრადი განვითარების სააგენტო“
1371	5011	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარებისა და მუზეუმთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი“
1372	5012	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი“
1373	5013	ა(ა)იპ – ცაგერის მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი“
1374	5014	ააიპ – ხაშურის მუნიციპალიტეტის „სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების – სატესტო სკოლების გაერთიანება“

2. დანართ №3-ში ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

ა) 7302 – „სამედიცინო უნივერსისტეტის ალ. ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7302	სამედიცინო უნივერსიტეტის „პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა“

ბ) 7630 – „შემოსულობა სსიპ/ააიპ-ის საკუთრებაში არსებული სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების გაყიდვიდან“ შემდეგ დაემატოს ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი შემდეგი კოდი:

7635	შემოსულობა სსიპ/ააიპ-ის საკუთრებაში არსებული სხვა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-3

2017 წლის 24 მარტი, ქ. თბილისი

პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესის დამტკიცების შესახებ

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს ,,პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესი“ თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 1 აპრილიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

დანართი

პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესი

მუხლი 1. **ზოგადი დებულებები**

ეს წესი განსაზღვრავს გამარტივებული წესით ტესტირების ადმინისტრირებას და პროცედურებს იმ პირთა პროფესიულ სერტიფიცირებასთან მიმართებაში, რომლებიც არანაკლებ 7 წლის განმავლობაში ასრულებდნენ გარიგების პარტნიორის უფლებამოსილებას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) ამოქმედებამდე და არ არიან სერტიფიცირებული ბუღალტრები ამავე კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. **ტერმინთა განმარტება**

ამ წესში გამოყენებული ტერმინები განიმარტება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3. ტესტირებაზე დაშვების საფუძველი

1. გამარტივებული წესით ტესტირებაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებიც კანონის ამოქმედებამდე არანაკლებ 7 წლის განმავლობაში ასრულებდნენ გარიგების პარტნიორის უფლებამოსილებას და არ არიან სერტიფიცირებული ბუღალტრები ამავე კანონის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული 7-წლიან პრაქტიკული გამოცდილება დგინდება პირის მიერ აუდიტორული მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, გარიგების პარტნიორის სტატუსით აუდიტორული საქმიანობის წლების დაჯამების პრინციპით. პრაქტიკულ გამოცდილებად არ ჩაითვლება პირის მიერ, აუდიტორული მომსახურების გარდა, ჩატარებული სხვა პროფესიული მომსახურება.

3. გამარტივებულ ტესტირებაზე დაშვების მიზნით დაინტერესებულმა პირმა სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) კანონის ამოქმედებამდე 7 წლის განმავლობაში გარიგების პარტნიორის სტატუსით, აუდიტორული მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი ინფორმაცია, სუბიექტების სახელწოდების, საიდენტიფიკაციო ნომრების, აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულების საგნისა და პერიოდის მითითებით;

ე) გარიგების პარტნიორის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელსაც პირი ადასტურებს თავად (საქმიანობის ინდივიდუალურად განხორციელების შემთხვევაში) ან რომელიც გაცემულია პროფესიული მომსახურების განმახორციელებელი იურიდიული პირის/აუდიტორული ფირმის მიერ.

4. სამსახური უფლებამოსილია, გარიგების პარტნიორის სტატუსით 7-წლიანი აუდიტორული მომსახურების განხორციელების დადასტურების მიზნით დაინტერესებული პირისაგან (საჭიროების შემთხვევაში პროფესიული მომსახურების განმახორციელებელი იურიდიული პირისაგან/აუდიტორული ფირმისაგან, სუბიექტისაგან ან/და მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოებისაგან) გამოითხოვოს აუდიტის გარიგების დადასტურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

5. სამსახური წარდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას პირის 7-წლიანი აუდიტორული მომსახურების განხორციელების დადასტურებისა და მისი ტესტირებაზე დაშვების თაობაზე. სამსახურის გადაწყვეტილება ეგზავნება დაინტერესებულ პირს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში.

მუხლი 4. ტესტირების განხორციელების უფლებამოსილება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. პირის გამარტივებული წესით პროფესიული სერტიფიცირებას ტესტირების გზით ახორციელებს ის პროფესიული ორგანიზაცია, რომლის სასერტიფიკაციო პროგრამა ან/და საგამოცდო პროცესი აკმაყოფილებს სამსახურის მიერ დადგენილ სტანდარტებს და აღიარებულია სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის შესაბამისად.

2. ის პროფესიული ორგანიზაცია, რომლის მხოლოდ სასერტიფიკაციო პროგრამებია აღიარებული, უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული სერტიფიცირება სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს მიერ ჩატარებული გამოცდების საფუძველზე.

3. ტესტირების ჩატარებით დაინტერესებული პროფესიული ორგანიზაცია (მათ შორის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოსთან ერთად) ვალდებულია შეიმუშაოს და შესათანხმებლად წარუდგინოს სამსახურს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ტესტური დავალების ნიმუშები;

ბ) შეფასების მეთოდი;

გ) ტესტირების პროცესის ხანგრძლივობა;

დ) ტესტირების პირობები და ვადები;

ე) დამატებითი დოკუმენტაცია (საჭიროების შემთხვევაში).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, სამსახურისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნათლად უნდა ასახავდეს ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული პრინციპების დაცულობას.

5. პროფესიული ორგანიზაცია უზრუნველყოფს ტესტირების 2-ჯერ ჩატარების ორგანიზებას. პირველი ტესტირება ტარდება არაუგვიანეს 2017 წლის 15 დეკემბრამდე, ხოლო მეორე ტესტირება – არაუგვიანეს 2018 წლის 1 აპრილამდე.

6. პირველი ტესტირებისათვის განკუთვნილი, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია სამსახურს წარედგინება არაუგვიანეს 2017 წლის 1 სექტემბრისა, ხოლო მეორე ტესტირებისათვის განკუთვნილი განახლებული ტესტური დავალების ნიმუშები – არაუგვიანეს 2018 წლის 1 იანვრისა. მეორე ტესტირებისათვის განახლებას არ ექვემდებარება და სამსახურთან შეთანხმებას არ საჭიროებს პირველი ტესტირებისათვის წარდგენილი ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია.

7. ამ წესით განსაზღვრული ტესტირების პროცესის წარმართვის უფლებამოსილებას შეიძენს მხოლოდ ის პროფესიული ორგანიზაცია, რომლის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებული იქნება სამსახურთან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 5. ტესტური დავალების შინაარსი

1. ტესტურმა დავალებამ უნდა მოიცვას შემდეგი სამართლებრივი აქტ(ებ)ი და სტანდარტები:

ა) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონი;

ბ) ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრისთვის;

გ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ISQC1);

დ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA);

ე) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS).

2. ტესტური დავალება უნდა მოიცავდეს არანაკლებ 100 (ას) კითხვას.

3. ტესტური დავალებაში მოცემული კითხვები მეორე ტესტირებისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს სრულად განახლებული ფორმით.

მუხლი 6. ტესტირების ჩატარების პრინციპები

ტესტირების ჩატარების პრინციპებია:

ა) ობიექტურობა – ტესტის ჩატარებისას უნდა გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების შესაძლებლობა;

ბ) გამჭვირვალეობა – ტესტირების და გასაჩივრების პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი;

გ) არადისკრიმინაციულობა – ტესტირების და გასაჩივრების პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს კანდიდატთა თანასწორობას;

დ) საჯაროობა – ტესტირების და გასაჩივრების პროცედურები, ოქმები და შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ე) ტესტურ დავალების ვალიდობა და საკმარისობა – ტესტურმა დავალებამ სათანადო სიღრმით და დაბალანსებულად უნდა შეაფასოს შესაბამისი პროფესიული კომპეტენციები;

ვ) უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა – კანდიდატთა პირადი მონაცემები და ტესტური დავალება უნდა იყოს კონფიდენციალური და დაცული, საფრთხეები უნდა იყოს სათანადოდ შეფასებული და მართვადი შესატყვისი სათადარიგო გეგმების/ზომების საშუალებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 7. ტესტირების და სერტიფიცირების პროცესის ორგანიზება

1. ტესტირების პროცესის წარმართვის უფლებამოსილების მქონე პროფესიული ორგანიზაციისა და ტესტირების თარიღების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სამსახურისა და შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის ვებგვერდზე.

2. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია ტესტირებ(ებ)ის ჩატარება უზრუნველყოს არაუგვიანეს 2018 წლის 1 აპრილამდე, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით.

3. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გამოცდაზე დაშვების მოთხოვნით პროფესიულ ორგანიზაციას მიმართოს გამოცხადებული ტესტირების თარიღამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე.

4. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია გამოცდის ჩატარების თარიღ(ებ)ი, გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღით ადრე გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე.

5. პირის მიერ ტესტური დავალების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია გასცემს სერტიფიკატს.

6. პროფესიული ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პირველ ტესტირებაზე პირის მიერ ტესტური დავალების ჩაუბარებლობის შემთხვევაში მას ეძლევა უფლება მიმართოს პროფესიულ ორგანიზაციას განმეორებით, მეორედ დანიშნულ ტესტირებაზე დაშვების მოთხოვნით. ის პირი, რომელიც პირველად გამოცხადდება პროფესიული ორგანიზაციის მიერ დანიშნულ მეორე ტესტირებაზე, ტესტური დავალების ჩაუბარებლობის შემთხვევაში კარგავს გამოცდაზე განმეორებით დაშვების უფლებას.

7. სერტიფიკატი პირს ანიჭებს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსს.

8. სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი პირს არ ანიჭებს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის განსაზღვრული აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) უფლებას, სანამ იგი არ გაივლის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს და ამასთან, არ განხორციელდება მისი რეესტრში რეგისტრაცია „ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის №17 ბრძანების შესაბამისად.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 8. გასაჩივრების წესი

1. სამსახურის გადაწყვეტილება პირის ტესტირებაზე დაშვების თაობაზე შესაძლებელია გასაჩივრდეს ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოსა და სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ტესტირების შედეგებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, პროფესიულ ორგანიზაციებში შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია, რომლის მუშაობის წესს განსაზღვრავს პროფესიული ორგანიზაცია ან/და დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com